კონვენცია კომპიუტერული დანაშაულის შესახებ

ბუდაპეშტი, 23.XI.2001

პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და წინამდებარე კონვენციის სხვა ხელმომწერი სახელმწიფოები,

მიიჩნევენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია თავის წევრებს შორის უფრო მყარი ერთიანობის მიღწევა;

აღიარებენ რა, წინამდებარე კონვენციის მონაწილე სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის ხელშეწყობის მნიშვნელობას;

დარწმუნებულნი რა, რომ, როგორც პრიორიტეტი, საჭიროა სისხლის სამართლის საერთო პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზანმიმართული იქნება კომპიუტერული დანაშაულისაგან საზოგადოების დაცვისაკენ, *inter alia*, შესაბამისი კანონმდებლობის მიღებითა და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობით;

აცნობიერებენ რა კომპიუტერიზაციის, კომპიუტერული ქსელების გაერთიანებასა და განგრძობითი გლობალიზაციის მიერ მოტანილ სერიოზულ ცვლილებებს;

ითვალისწინებენ რა იმ რისკს, რომ კომპიუტერული ქსელები და ელექტრონული ინფორმაცია შეიძლება ასევე გამოყენებულ იქნეს დანაშაულის ჩასადენად და რომ ამგვარ დანაშაულთან დაკავშირებული მტკიცებულება შეიძლება ინახებოდეს ან გადაიცემოდეს ამ ქსელების მიერ;

აღიარებენ რა კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში სახელმწიფოებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის საჭიროებას; და ასევე, ინფორმაციულ ტექნოლოგიათა გამოყენებისა და განვითარების კანონიერი ინტერესების დაცვის საჭიროებას;

სჯერათ რა, რომ კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლა მოითხოვს მზარდ, სწრაფ და ეფექტურ საერთაშორისო თანამშრომლობას სისხლის სამართლის საკითხებში;

დარწმუნებულნი არიან რა იმაში, რომ მოცემული კონვენცია აუცილებელია, რათა აღკვეთოს კომპიუტერული სისტემების, ქსელებისა და კომპიუტერული მონაცემების კონფიდენციალურობის, ერთიანობისა და ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ მიმართული ქმედება ისევე, როგორც ამგვარ სისტემათა, ქსელთა და მონაცემთა ბოროტად გამოყენება ამ ქმედებათა კრიმინალიზაციით ამ კონვენციის

შესაბამისად; აგრეთვე, შესაბამისი ორგანოებისათვის ასეთ დანაშაულებთან ბრძოლისათვის საჭირო იმ საკმარისი ძალაუფლების მინიჭებით, რომელიც გააადვილებს მათ გამოვლენას, გამოძიებასა და სასამართლო წესით დევნას როგორც შიდასახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეზე; და სწრაფი და სანდო საერთაშორისო თანამშრომლობისათვის საჭირო პირობების უზრუნველყოფით;

აცნობიერებენ რა იმის საჭიროებას, რომ უზრუნველყოფილ უნდა იქნეს მართებული ბალანსი კანონის დაცვასა და ადამიანის ძირითად უფლებათა პატივისცემას შორის, ისე, როგორც ეს გათვალისწინებულია 1950 წლის ევროპის საბჭოს კონვენციით ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1966 წლის გაეროს საერთაშორისო პაქტში სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ და სხვა შესაფერის საერთაშორისო უფლებათა ხელშეკრულებებში, რომლებიც კიდევ ერთხელ ადასტურებს ყველას უფლებას, ჰქონდეს საკუთარი შეხედულება სხვისი ჩარევის გარეშე; ასევე, გამოხატვის თავისუფლების უფლებას, მათ შორის უფლებას, მოიძიოს, მიიღოს და გასცეს ყველა სახის ინფორმაცია და იდეები შეზღუდვის გარეშე; და ასევე იმ უფლებებს, რომლებიც პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემას ეხება;

აცნობიერებენ რა აგრეთვე პირად მონაცემთა დაცვის უფლებას, როგორც ეს, მაგალითად, განხილულია 1981 წლის ევროპის საბჭოს კონვენციაში პირთა დაცვის თაობაზე პირად მონაცემთა ავტომატურ დამუშავებასთან კავშირში;

ითვალისწინებენ რა 1989 წლის გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციას და 1999 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას ბავშვის შრომის ყველაზე მავნე ფორმების შესახებ;

მხედველობაში იღებენ რა ევროპის საბჭოს არსებულ კონვენციებს სასჯელაღსრულების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ისევე, როგორც ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებსა და სხვა სახელმწიფოებს შორის არსებულ მსგავს ხელშეკრულებებს და ხაზს უსვამენ რა იმ ფაქტს, რომ მოცემული კონვენცია მიზნად ისახავს ამ კონვენციათა შევსებას, რათა კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიება და დევნა გახდეს უფრო ეფექტური და რომ ხელი შეუწყოს სისხლის სამართლის დანაშაულთა მტკიცებულების ელექტრონული ფორმით შეგროვებას;

მიესალმებიან რა იმ თანამედროვე მიღწევებს, რომლებიც კიდევ უფრო განავითარებს საერთაშორისო ურთიერთგაგებასა და თანამშრობლობას კომპიუტერულ დანაშაულთან ბრძოლაში, მათ შორის გაეროს, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის, ევროკავშირისა და "დიდი რვიანის" მიერ განხორციელებულ საქმიანობას;

ითვალისწინებენ რა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციებს: რეკომენდაცია № (85) 10, რომელიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების შესახებ ევროპის კონვენციის გამოყენებას სატელეკომუნიკაციო ინფორმაციის დაუფლების მოთხოვნით; რეკომენდაცია № (88) 2 საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში დარღვევათა თაობაზე;

რეკომენდაცია № (87) 15 პოლიციის სექტორში პირად მონაცემთა გამოყენების რეგულირების თაობაზე; რეკომენდაცია № (95) 4 სატელეკომუნიკაციო სფეროში, განსაკუთრებით სატელეფონო სამსახურში პირად მონაცემთა დაცვის თაობაზე ისევე, როგორც რეკომენდაცია № (89) 9 ეროვნული საკანონმდებლო ხელისუფლებისათვის კომპიუტერთან დაკავშირებულ დანაშაულზე სახელმძღვანელო პრინციპების უზრუნველყოფის თაობაზე, რომელიც რიგ კომპიუტერულ დანაშაულთა განსაზღვრებებს ეხება და რეკომენდაცია № (95) 13 რომელიც ეხება სისხლის სამართლის პროცესის პრობლემებს ინფორმაციულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით;

განიხილეს რა ევროპის იუსტიციის მინისტრთა მიერ 21-ე კონფერენციაზე (პრაღა, 1997 წლის 10 და 11 ივნისი) მიღებული №1 რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს, რომ მინისტრთა კომიტეტი მხარს უჭერს დანაშაულის პრობლემათა ევროპული კომიტეტის (CDPC) მიერ კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ განხორციელებულ მუშაობას, რომელიც მიმართულია შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის დებულებათა ერთმანეთთან დააახლოვებისა და ასეთ დანაშაულთა გამოძიების ეფექტურ საშუალებათა გამოყენებისაკენ; აგრეთვე ევროპის იუსტიციის მინისტრთა 23-ე კონფერენციაზე (ლონდონი, 2000 წლის 8 და 9 ივნისი) მიღებულ №3 რეზოლუცია, რომელიც მონაწილე მხარეებს მოუწოდებდა, თავიანთი ძალისხმევა მიემართათ საკითხთა ისეთ შესაფერის გადაწყვეტილებათა მიღწევისაკენ, რომელიც რაც შეიძლება მეტ სახელმწიფოს მისცემდა საშუალებას, გამხდარიყო ამ კონვენციის მონაწილე და რომელიც აღიარებდა საერთაშორისო თანამშრომლობის სწრაფი და ეფექტური სისტემის აუცილებლობას; იმ სისტემისა, რომელიც სათანადოდ ითვალისწინებს კომპიუტერული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის განსაკუთრებულ მოთხოვნებს;

განიხილეს რა აგრეთვე ევროპის საბჭოს სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურთა მიერ მეორე სამიტზე (სტრასბურგი, 1997 წლის 10 და 11 ოქტომბერი) მიღებული სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანი იყო ევროპის საბჭოს სტანდარტებსა და ღირებულებებზე დაფუძნებულ ახალ ინფორმაციულ ტექნოლოგიათა განვითარების თაობაზე საერთო გადაწყვეტილებების მოძიება;

შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I – ტერმინების გამოყენება

მუხლი 1 - განსაზღვრებები

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

a. "კომპიუტერული სისტემა" – ნებისმიერი მექანიზმი ან ერთმანეთთან დაკავშირებულ ან ურთიერთდაკავშირებულ მექანიზმთა ჯგუფი, რომელთაგან ერთი ან მეტი, პროგრამის მეშვეობით, ასრულებს მონაცემთა ავტომატურ დამუშავებას;

b. "კომპიუტერული მონაცემები" – ფაქტების, ინფორმაციის ან კონცეფციათა ნებისმიერი გამოსახვა კომპიუტერულ სისტემაში

დამუშავებისათვის ხელსაყრელი ფორმით, მათ შორის პროგრამა, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებას;

c. "მომსახურების მომწოდებელი"

i. ნებისმიერი საჯარო ან კერძო პირი, რომელიც მისი სერვისის მომხმარებლებს უზრუნველყოფს კომპიუტერული სისტემის საშუალებით ურთიერთობის შესაძლებლობით, და

ii. ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც გადაამუშავებს ან ინახავს კომპიუტერულ მონაცემებს ამგვარი საკომუნიკაციო მომსახურების ან ამგვარი მომსახურების მომხმარებელთა სახელით.

d. "ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემები" – კომუნიკაციებთან დაკავშირებული და კომპიუტერული სისტემის მიერ გენერირებული ნებისმიერი კომპიუტერული მონაცემები, რომელიც წარმოადგენს კომუნიკაციათა ჯაჭვის ნაწილს, მიუთითებს კომუნიკაციის წყაროს, დანიშნულების ადგილს, მიმართულებას, დროს, თარიღს, ზომას, ხანგრძლივობას, ძირითადი მომსახურების ტიპს.

თავი II – ეროვნულ დონეზე მისაღები ზომები

ნაწილი 1 –სისხლის სამართლის მატერიალური კანონმდებლობა

კარი 1 – კომპიუტერულ მონაცემთა და სისტემათა კონფიდენციალურობის, ერთიანობისა და ხელმისაწვდომობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები

მუხლი 2 – უნებართვო დაშვება

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს მთლიან კომპიუტერულ სისტემაზე ან მის ნაწილზე უნებართვო შეღწევის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი. მონაწილე სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს, რომ დანაშაულის ჩადენის პირობად ჩაითვალოს უსაფრთხოების ზომების დარღვევა კომპიუტერული მონაცემების მოპოვების ან სხვა არაკეთილსინდისიერი განზრახვით; ან სხვა კომპიუტერულ სისტემასთან კავშირში, რომელიც შეერთებულია მეორე კომპიუტერულ სისტემასთან.

მუხლი 3 – მონაცემთა ხელში ჩაგდება ნებართვის გარეშე

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით

მოახდენს კომპიუტერული სისტემისთვის, სისტემიდან ან მის ფარგლებში არასაჯარო კომპიუტერულ მონაცემთა გადაცემის, მათ შორის კომპიუტერული სისტემიდან ამგვარ კომპიუტერულ მონაცემთა მატარებელი ელექტრომაგნიტური ტალღების ემისიის უნებართვო ხელში ჩაგდების კრიმინალიზაციას, როცა ეს ქმედება ტექნიკური საშუალებებითაა განხორციელებული და თუ იგი წინასწარი განზრახვითაა ჩადენილი. მონაწილე სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს, რომ დანაშაულის ჩადენის პირობად ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერი განზრახვა ან ქმედების ჩადენაკომპიუტერული სისტემის წინააღმდეგ, რომელიც შეერთებულია მეორე კომპიუტერულ სისტემასთან.

მუხლი 4 – მონაცემთა ხელყოფა

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერულ მონაცემთა უნებართვო დაზიანების, წაშლის, გაუარესების, შეცვლის ან გადამალვის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი.

2. მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, მოითხოვოს, რომ პირველ პუნქტში აღწერილი ქმედების შედეგი არსებითი ზიანის მომტანი უნდა იყოს.

მუხლი 5 – სისტემაში ჩარევა

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს კომპიუტერულ მონაცემთა ჩადების, გადაცემის, დაზიანების, წაშლის, გაუარესების, შეცვლის ან გადამალვის გზით, ნებართვის გარეშე კომპუტერული სისტემის ფუნქციონირების არსებითი შეფერხების კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარ განზრახვითაა ჩადენილი.

მუხლი 6 – მოწყობილობათა ბოროტად გამოყენება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარ განზრახვითა და უნებართვოდ ჩადენილ შემდეგ ქმედებათა კრიმინალიზაციას:

a. წარმოება, გაყიდვა, მომარაგება, იმპორტი, გავრცელება ან ხელმისაწვდომობა

i. იმ მოწყობილობისა, კომპიუტერული პროგრამის ჩათვლით, რომელიც შექმნილი ან ადაპტირებულია ძირითადად მე-2-5 მუხლების ჩათვლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთა ჩადენის მიზნით;

ii. კომპიუტერული პაროლის, დაშვების კოდის ან მსგავსი მონაცემისა, რომლითაც შესაძლებელია მთლიან კომპიუტერულ სისტემაზე ან მის ნაწილზე დაშვების მიღწევა,

იმ განზრახვით, რომ ის გამოყენებულ იქნება მე-2-5 მუხლების ჩათვლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთა ჩადენის მიზნით; და

b. a.i ან a.ii ქვეპუნქტებში ხსენებული საგნის ფლობა იმ განზრახვით, რომ ის გამოყენებულ იქნება მე-2-5 მუხლების ჩათვლით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულთა ჩადენის მიზნით. მონაწილე სახელმწიფოს აქვს კანონიერი უფლება, მოითხოვოს ამგვარი საგნების გარკვეული რაოდენობის ფლობა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი.

2. ეს მუხლი არ უნდა განიმარტებოდეს როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრება ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებული წარმოების, გაყიდვის, მომარაგების, იმპორტის, გავრცელების ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობის ან ფლობის ისეთი ქმედებისათვის, რომლის მიზანიც არა არის ამ კონვენციის მე-2-5 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. ამგვარი ქმედების მაგალითი შეიძლება იყოს კომპიუტერული სისტემის ნებადართული ტესტირება ან დაცვა.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, არ გამოიყენოს ამ მუხლის 1-ლი პუნქტი იმ პირობით, რომ ამგვარი დათქმა არ ვრცელდება ამ მუხლის 1-ლი პუნქტის a.ii ქვეპუნქტით გათვალისწინებული საგნების გაყიდვის, გავრცელებისა და სხვაგვარად ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ქმედებებზე.

კარი 2 – კომპიუტერთან დაკავშირებული დანაშაულები

მუხლი 7 – კომპიუტერთან დაკავშირებული გაყალბება

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარ განზრახვითა და უნებართვოდ კომპიუტერულ მონაცემთა ჩადების, შეცვლის, წაშლის ან დაფარვის კრიმინალიზაციას, რომლის შედეგიცაა გაყალბებულ მონაცემთა მიღება იმ განზრახვით, რომ ამგვარი მონაცემები გასაღდეს როგორც უტყუარი ან კანონიერი მიზნით გამოყენებოდეს როგორც უტყუარი, განურჩევლად იმისა, თუ რამდენად კითხვადი და გარჩევადია ეს მონაცემები. მონაწილე სახელმწიფო უფლებამოისლია მოითხოვოს თაღლითური ან მსგავსი არაკეთილსინდისიერი განზრახვის არსებობა, როგორც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის საფუძველი.

მუხლი 8 – კომპიუტერთან დაკავშირებული თაღლითობა

ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარ განზრახვითა და უნებართვოდ ჩადენილი იმ ქმედების კრიმინალიზაციას, რომელსაც შედეგად მოჰყვა სხვა პირის ქონების დაკარგვა და რომელიც ჩადენილ იქნა შემდეგი გზით:

a. კომპიუტერული მონაცემების ნებისმიერი ფორმით შეყვანა, შეცვლა, წაშლა ან გადამალვა,

b. კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირებაში ნებისმიერი სახით ჩარევა,

თაღლითური ან სხვა არაკეთილსინდისიერი განზრახვით საკუთარი ან სხვისი ფინანსური/ეკონომიკური მოგების/სარგებლის უნებართვოდ მიღების მიზნით.

კარი 3 – შინაარსთან დაკავშირებული დანაშაულები

მუხლი 9 – ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს წინასწარი განზრახვითა და მართლსაწინააღმდეგოდ ჩადენილ შემდეგ ქმედებათა კრიმინალიზაციას:

a. ბავშვთა პორნოგრაფიის შექმნა კომპიუტერული სისტემის საშუალებით მისი გავრცელების მიზნით;

b. ბავშვთა პორნოგრაფიის შეთავაზება ან ხელმისაწვდომობა კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

c. ბავშვთა პორნოგრაფიის გავრცელება ან გადაცემა კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

d. ბავშვთა პორნოგრაფიის მიღება თავისთვის ან სხვისთვის კომპიუტერული სისტემის საშუალებით;

e. ბავშვთა პორნოგრაფიის ფლობა კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შემნახავი საშუალებით.

2. 1-ლი პუნქტის მიზნებისათვის, ტერმინი "ბავშვთა პორნოგრაფია" მოიცავს იმ პორნოგრაფიულ მასალას, რომელიც ვიზუალურად გამოსახავს:

a. აშკარად სქესობრივი ხასიათის ქმედებით დაკავებულ არასრულწლოვანს;

b. აშკარად სქესობრივი ხასიათის ქმედებით დაკავებულ ადამიანს, რომელიც არასრულწლოვნად გამოიყურება;

c. აშკარად სქესობრივი ხასიათის ქმედებით დაკავებული არასრულწლოვანის რეალობასთან დაახლოებულ გამოსახულებებს.

3. მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, ტერმინი "არასრულწლოვანი" მოიცავს 18 წლამდე ყველა პირს. ამასთან, მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს ნაკლები ასაკობრივი ზღვარი, რომელიც არ იქნება 16 წელზე ნაკლები.

4. ყველა მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, გააკეთოს დათქმა ამ მუხლის 1(d), 1(e), 2(b) და 2(c) ქვეპუნქტების გამოუყენებლობის თაობაზე.

კარი 4 – საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული დანაშაულები

მუხლი 10 – საავტორო და მომიჯნავე უფლებათა დარღვევებთან დაკავშირებული დანაშაულები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი აუცილებელი საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს საავტორო უფლებათა დარღვევის კრიმინალიზაციას, როგორც ეს განსაზღვრულია ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით და რისი ვალდებულებაც ამ სახელმწიფომ იკისრა ლიტერატურულ და მხატვრულ ნაშრომთა დაცვის ბერნის კონვენციის, ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებზე ხელშეკრულებისა და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით მიღებული 1971 წლის 24 ივლისის პარიზის აქტით (გარდა ამ კონვენციებით მინიჭებული მორალური ხასიათის უფლებებისა), რაც გამოიხატა სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული სისტემის საშუალებით ჩადენილი განზრახი ქმედებით.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს მომიჯნავე უფლებათა დარღვევის კრიმინალიზაციას, როგორც ეს განსაზღვრულია ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით და რისი ვალდებულებაც ამ სახელმწიფომ იკისრა შემსრულებლების, ფონოგრამების პროდიუსერთა და სამაუწყებლო ორგანიზაციათა საერთაშორისო კონვენციის (რომის კონვენცია); ინტელექტუალური საკუთრების უფლებათა ვაჭრობასთან დაკავშირებულ ასპექტებზე ხელშეკრულებისა; და ინტელექტუალური საკუთრების მსოფლიო ორგანიზაციის შესრულებისა და ფონოგრამების შესახებ ხელშეკრულების თანახმად (გარდა ამ კონვენციებით მინიჭებული მორალური ხასიათის უფლებებისა), რაც გამოიხატა სარგებლის მიღების მიზნით, კომპიუტერული სისტემის საშუალებით ჩადენილი განზრახი ქმედებით.

3. მონაწილე სახელმწიფოს უფლება აქვს, რიგ შემთხვევებში, არ დააკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით, იმ პირობით, რომ არსებობს სხვა, უფრო ეფექტური საშუალება და რომ ამგვარი დათქმით მონაწილე სახელმწიფო არ უხვევს იმ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც ამ მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებით მოხსენებული საერთაშორისო დოკუმენტებითაა გათვალისწინებული.

კარი 5 – დამატებითი პასუხისმგებლობა და სანქციები

მუხლი 11 – მცდელობა და ხელშეწყობა ან წაქეზება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს ამ კონვენციის მე-2-10 მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩასადენად წინასწარი განზრახვით ხელშეწყობის ან წაქეზების კრიმინალიზაციას, თუ ამ დანაშაულის ჩადენის განზრახვა არსებობს.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ეროვნული კანონმდებლობით მოახდენს ამ კონვენციის მე-3-5, მე-7, მე-8 მუხლებითა და 9.1.a და 9.1.c ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის მცდელობის კრიმინალიზაციას, თუ ეს ქმედება წინასწარი განზრახვითაა ჩადენილი.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, არ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტი მთლიანად ან ნაწილობრივ.

მუხლი 12 - იურიდიული პირის პასუხისმგებლობა

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ კონვენციის მიერ გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩამდენ იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობას, თუ ეს ქმედება ჩადენილია მათ სასარგებლოდ ნებისმიერი ფიზიკური პირის მიერ ინდივიდუალურად, თუ როგორც იურიდიული პირის ორგანოს იმ წარმომადგენელის მიერ, რომელსაც ამ დაწესებულებაში უკავია წამყვანი თანამდებობა, რაც თავის მხრივ ეფუძნება შემდეგს:

a. იურიდიული პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილება;

b. იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებათა მიღების უფლებამოსილება;

c. იურიდიული პირის მართვის უფლებამოსილება.

2. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში უკვე გათვალისწინებულ შემთხვევებთან ერთად, ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საჭირო ზომები, რათა

უზრუნველყოს იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება იმ შემთხვევაში, როცა 1-ლ პუნქტში მოხსენიებული ფიზიკური პირის მიერ არასაკმარისმა ზედამხედველობამ ან კონტროლმა/მართვამ შესაძლებელი გახადა ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა იმ იურიდიული პირის სასარგებლოდ, რომლის უფლებამოსილებითაც მოქმედებდა ეს ფიზიკური პირი.

3. მონაწილე სახელმწიფოს სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, იურიდიული პირის პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული.

4. ასეთი პასუხისმგებლობა არ გამორიცხავს დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირის სისხლიხ სამართლის პასუხისმგებლობას.

მუხლი 13 – სასჯელები და ზომები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ეფექტურ, თანაზომიერ და სამაგალითო სასჯელს, მათ შორის თავისუფლების აღკვეთასაც.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს, რომ მე-12 მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულზე პასუხისმგებელ ყველა იურიდიულ პირს დაეკისრება ეფექტური, თანაზომიერი და სამაგალითო სისხლის სამართლის სასჯელი ან სხვაგვარი პასუხისმგებლობა, ფულადი სასჯელის ჩათვლით.

ნაწილი 2 – საპროცესო სამართალი

კარი 1 – ზოგადი დებულებანი

მუხლი 14 – საპროცესო დებულებათა მოქმედება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს სისხლის სამართლის კონკრეტული საქმის გამოძიების ან დევნის შესაბამისი უფლებამოსილებისა და პროცედურათა დანერგვას, ისე, როგორც ეს ამ ნაწილით არის გათვალისწინებული.

2. გარდა 21-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია გამოიყენოს ამ მუხლის 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული უფლებამოსილება და პროცედურები შემდეგი მიზნებისათვის

a. ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულები;

b. კომპიუტერული სისტემის საშუალებით ჩადენილი სხვა დანაშაულები; და

c. დანაშაულის მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით შეგროვება.

3. a. ყველა მონაწილე სახელმწიფო იტოვებს უფლებას, მე-20 მუხლით გათვალისწინებულ ზომებს მიმართოს მხოლოდ დათქმაში აღნიშნული დანაშაულების ან დანაშაულთა კატეგორიების შემთხვევაში, იმ პირობით, რომ ამგვარი დანაშაულების ან დანაშაულთა კატეგორიების წრე არა არის იმაზე უფრო შეზღუდული, ვიდრე დანაშაულთა ის წრე, რომელთა მიმართაც ის 21-ე მუხლში მოხსენიებულზომებს იყენებს. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, შეძლებისდაგვარად შეზღუდოს ამ დათქმის გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-20 მუხლში გათვალისწინებულ ზომათა მაქსიმალურად ფართო გამოყენება.

b. იმ შემთხვევაში, თუ ამ კონვენციის მიღების მომენტში, მონაწილე სახელმწიფოს, შიდასამართლებრივი შეზღუდვებიდან გამომდინარე, არ შეუძლია მიმართოს მე-20-21 მუხლებით გათვალისწინებულ ზომებს, რომელიც ეხება მონაცემთა გადაცემას ინტერნეტ-მომსაზურების მიმწოდებლის იმ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით, რომელიც:

i. იმართება მომხმარებელთა დახურული ჯგუფის სასარგებლოდ, და

ii. არ იყენებს საჯარო საკომუნიკაციო ქსელებს და არ არის შეერთებული სხვა, საჯარო თუ თუ კერძო კომპიუტერულ სისტემასთან,

ეს მონაწილე სახელმწიფო ინარჩუნებს უფლებას, მონაცემთა ასეთი გადაცემის მიმართ არ გამოიყენოს ეს ზომები. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, შეძლებისდაგვარად შეზღუდოს ამ დათქმის გამოყენება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მე-20 და 21-ე მუხლებში გათვალისწინებულ ზომათა მაქსიმალურად ფართოდ გამოყენება.

მუხლი 15 – პირობები და გარანტიები

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია უზრუნველყოს/, რომ ამ ნაწილში გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა და პროცედურათა შემოღება, შესრულება და გამოყენება დამოკიდებულია ამ ქვეყნის შიდასახელმწიფოებრივი სამართლით გათვალისწინებულ პირობებსა და გარანტიებზე, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ადეკვატურ დაცვას, მათ შორის იმ უფლებებისა, რომელთა დაცვის ვალდებულებაც სახელმწიფომ იკისრა თანახმად 1950 წლის ევროპის საბჭოს კონვენციისა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ, 1966 წლის გაერთიანებული ერების საერთაშორისო პაქტისა სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა შესახებ, და ადამიანის

უფლებათა სხვა შესაბამისი დოკუმენტებისა, და განახორციელებს პროპორციულობის პრინციპს.

2. ამგვარი პირობები და გარანტიები, შესაბამისი უფებამოსილებისა და პროცედურის ტიპის შესაბამისად, *inter alia,* უნდა მოიცავდეს ამ უფლებმოსილების თუ პროცედურის სასამართლო ან სხვა დამოუკიდებელ ზედამხედველობას, მათი გამოყენების საფუძლის არსებობის მტკიცებას, და მათი ფარგლებისა და ხანგრძლივობის შეზღუდვას.

3. საზოგადოებრივი ინტერესიდან, განსაკუთრებით კი მართლმსაჯულების ეფექტური განხორციელებიდან გამომდინარე, ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, გაითვალისწინოს ამ ნაწილში მოყვანილ უფლებამოსილებათა და პროცედურათა გავლენა მესამე მხარის უფლებებზე, ვალდებულებებსა და კანონიერ ინტერესებზე.

კარი 2 – შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებულიდაცვა

მუხლი 16 - შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებული დაცვა

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მისი ხელისუფლების უფლებამოსილ ორგანოებს მისცემს საშუალებას, გასცეს ბრძანება ან სხვა მსგავსი კანონიერი გზით უზრუნველყოს კომპიუტერული სისტემის საშუალებით შენახულ კონკრეტულ კომპიუტერულ მონაცემთა, მათ შორის ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაჩქარებული დაცვა, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როცა არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ამ კომპიუტერულ მონაცემებს ემუქრება დაკარგვის ან შეცვლის საფრთხე.

2. იმ შემთხვევაში, თუ მონაწილე სახელმწიფო 1-ლ პუნქტში ხსენებულ ქმედებას ახორციელებს კონკრეტულ პირზე გაცემული ბრძანების საშუალებით, რათა მან მოახდინოს თავის მფლობელობაში ან საკუთარი ზედამხედველობის ქვეშ მყოფიკონკრეტული შენახული კომპიუტერული მონაცემების დაცვა, სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს საჭირო საკანონმდებლო და სხვა ცვლილებები, რომლებიც ამ პირს დაავალდებულებს, დაიცვას და შეინარჩუნოს ამ კომპიუტერულ მონაცემთა მთლიანობა საჭირო დროის, მაქსიმუმ 90 დღის განმავლობაში, რათა ამით ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს მიეცეს მისი გადმოცემის საშუალება. სახელმწიფოს შეუძლია უზრუნველყოს ამგვარი ბრძანების შემდგომი განახლება.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც კომპიუტერულ მონაცემთამეურვეს ან მასზე პასუხისმგებელ სხვა პირს დაავალდებულებს, საიდუმლოდ შეინახოს ამ პროცედურათა განხორციელების ფაქტი ეროვნული კანონმდებლობით გათვალისწინებული დროის მანძილზე.

4. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებები და პროცედურები აგრეთვე ეხება მე-14-15 მუხლებს.

მუხლი 17 – ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაჩქარებული დაცვა და ნაწილობრივი გადმოცემა

1. მე-16 მუხლში განხილულ ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაცვასთან მიმართებით, ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო სამართლებრივი და სხვა ზომები, რომლებიც:

a. უზრუნველყოფს ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა ამგვარ დაჩქარებულ დაცვას იმისდა მიუხედავად, ჩართული იყო თუ არა ამ კომუნიკაციათა გადაცემაში მომსახურების ერთი ან მეტი მომწოდებელი; და

b. უზრუნველყოფს სახელმწიფოს შესაბამისი ხელისუფლების ორგანოებისათვის ან ამ ორგანოების ნდობით აღჭურვილი პირისათვის ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაჩქარებულ გადაცემას საკმარისი რაოდენობით, რათა სახელმწიფოს მიეცეს მომსახურების მომწოდებელთა ამოცნობის საშუალება ისევე, როგორც იმ გზისა, რომლითაც მოხდა აღნიშნულ კომუნიკაციათა გადაცემა.

2. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები აგრეთვე ეხება მე-14-15 მუხლებს.

კარი 3 – დოკუმენტთა/ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანება

მუხლი 18 – დოკუმენტთა/ინფორმაციის გამოთხოვის ბრძანება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს მისცემს უფლებამოსილებას, გასცეს ბრძანება, რომლის თანახმადაც:

a. მის ტერიტორიაზე მყოფი პირი ვალდებულია, ჩააბაროს/გადასცეს კომპიუტერულ სისტემაში ან კომპიუტერულ მონაცემთა შესანახ საშუალებაში შენახული კონკრეტული კომპიუტერული მონაცემები ამ პირის მფლობელობაში ან მისი ზედამხედველობის ქვეშ; და

b. მომსახურების მომწოდებელი, რომელიც თავის მომსახურებას ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ახორციელებს, ვალდებულია გადასცეს მის ხელთ არსებული ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ, რომელიც ამგვარ მომსახურებასთანაა დაკავშირებული.

2. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლებით დადგენილ პირობებს.

3. ამ მუხლის მიზნებისათვის, ტერმინი "ინფორმაცია მომხმარებლის შესახებ" არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც მომსახურების მომწოდებელი ინახავს კომპიუტერული მონაცემების ან სხვა ნებისმიერი ფორმით; რომელიც დაკავშირებულია მისი მომსახურების მომხმარებლებთან; განსხვავდება ინტერნეტ-ტრაფიკისა და შინაარსობრივი მონაცემებისაგან და რომლის მიხედვითაც შესაძლებელია დადგინდეს/განისაზღვროს:

a. გამოყენებული კომუნიკაციის მომსახურების ტიპი, გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და მომსახურების დრო;

b. მომხმარებლის ვინაობა, საფოსტო ან საცხოვრებელი მისამართი, ტელეფონის და სხვა საკონტაქტო ნომრები, ინფორმაცია ანგარიშისა და გადასახადების შესახებ, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე;

c. დამონტაჟებული საკომუნიკაციო აღჭურვილობის ადგილმდებარეობის თაობაზე არსებული ნებისმიერი სხვა ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მომსახურების ხელშეკრულების ან შეთანხმების საფუძველზე.

კარი 4 – შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ჩხრეკა და ამოღება

მუხლი 19 – შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ჩხრეკა და ამოღება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შესაბამის ორგანოებს მისცემს უფლებამოსილებას, სახელმწიფოს ტერიტორიაზე გაჩხრიკოს (ან ჰქონდეს მსგავსი სახის დაშვება/მისავალი):

a. კომპიუტერული სისტემა ან მისი ნაწილი და მასში შენახული კომპიუტერული მონაცემები; და

b. კომპიუტერულ მონაცემთა შესანახი საშუალება, რომელშიც შეიძლება ინახებოდეს კომპიუტერული მონაცემები.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს აძლევს უფლებამოსილებას, მათ მიერ, 1.a პუნქტის შესაბამისად, კონკრეტული კომპიუტერული სისტემის ან მისი ნაწილის ჩხრეკის ან მსგავსი დაშვების დროს გაჩენილი ეჭვის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც საძიებელი მონაცემები შეიძლება ინახებოდეს სხვა კომპიუტერულ სისტემაში ან მის ნაწილში, რომელიც ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს, და რომ ამგვარი მონაცემები კანონიერად ხელმისაწვდომია საწყისი სისტემის

საშუალებით, განახორციელონ სხვა სისტემის დაჩქარებული განვრცობილი ჩხრეკა ან იქონიონ მსგავსი მისაწვდომობა.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურვავს უფლებამოსილებით, ამოიღოს ან მსგავსი სახით უზრუნველყოს 1-ლი ან მე-2 პუნქტების თანახმად აღმოჩენილი კომპიუტერული მონაცემების უსაფრთხოება. ეს ზომები მოიცავს შემდეგი უფლებამოსილებით აღჭურვას:

a. კომპიუტერული სისტემის ან მისი ნაწილის ან კომპიუტერულ მონაცემთა შემნახავი საშუალების ამოღება ან მსგავსი სახით მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

b. ამ კომპიუტერულ მონაცემთა ასლის გაკეთება და შენახვა;

c. შესაბამის შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ერთიანობის შენარჩუნება;

d. ხელმიუწვდომელი გახადოს ან ამოიღოს ეს კომპიუტერული მონაცემები ხელმისაწვდომი კომპიუტერული სისტემიდან.

4. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურვავს უფლებამოსილებით, უბრძანოს კომპიუტერული სისტემის ფუნქციონირების ან კომპიუტერულ მონაცემთა დაცვის მცოდნე ნებისმიერ პირს, რათა ამ უკანასკნელმა, გონივრულობის ფარგლებში, გასცეს საჭირო ინფორმაცია, რომელიც უზრუნველყოფს 1-ლ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ ზომათა განხორციელებას.

5. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლების პირობებს.

კარი 5 – კომპიუტერულ მონაცემთა მიმდინარე შეგროვება

მუხლი 20 – ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საჭირო საკანონმდებლო და სხვა ზომები, რომლებიც მის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურვავს უფლებამოსილებით:

a. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვონ ან ჩაიწერონ, და

b. დაავალდებულონ მომსახურების მომწოდებელი მისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში:

i. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვოს ან ჩაიწეროს; ან

ii. ითანამშრომლოს და დაეხმაროს შესაბამის ორგანოებს, რათა შეაგროვონ ან ჩაიწერონ მიმდინარე რეჟიმში ინტერნეტ-ტრაფიკის ის მონაცემები, რომლებიც დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე განხორციელებულ და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან.

2. იმ შემთხვევაში, თუ შიდასამართლებრივი სისტემით დამკვიდრებული პრინციპების გამო მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია 1.ა პუნქტით გათვალისწინებულ ზომათა მიღება, მას შეუძლია მიიღოს სამართლებრივი და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს ინტერნეტ-ტრაფიკის იმ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებას ან ჩაწერას, რომლებიც დაკავშირებულია მის ტერიტორიაზე არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ამავე ტერიტორიაზე განხორციელებულ კონკრეტულ საკომუნიკაციო გადაცემებთან.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც დაავალდებულებს მომსახურების მომწოდებელს, უზრუნველყოს ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელების ფაქტისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლების პირობებს.

მუხლი 21 – შინაარსობრივ მონაცემთა ხელში ჩაგდება

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც, ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვულ რიგ სერიოზულ დანაშაულებთან დაკავშირებით, შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს აღჭურვავს უფლებამოსილებით:

a. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვოს ან ჩაიწეროს, და

b. დაავალდებულონ მომსახურების მომწოდებელი მისი ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში:

i. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით შეაგროვოს ან ჩაიწეროს, ან

ii. ითანამშრომლოს და დაეხმაროს შესაბამის ორგანოებს, რათა შეაგროვონ ან ჩაიწერონ მის ტერიტორიაზე განხორციელებული და კომპიუტერული სისტემის მეშვეობით გადაცემულ კონკრეტულ კომუნიკაციათა შინაარსობრივი მონაცემები მიმდინარე რეჟიმში.

2. იმ შემთხვევაში, თუ შიდასამართლებრივი სისტემით დამკვიდრებული პრინციპების გამო მონაწილე სახელმწიფოს არ შეუძლია 1.a პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღება, მას შეუძლია მიიღოს სამართლებრივი და სხვა საჭირო ზომები, რათა უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე არსებულ ტექნიკურ საშუალებათა გამოყენებით ამავე ტერიტორიაზე განხორციელებულ კონკრეტულ საკომუნიკაციო გადაცემათა შინაარსობრივი მონაცემების მიმდინარე შეგროვება ან ჩაწერა.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც დაავალდებულებს მომსახურების მომწოდებელს, უზრუნველყოს ამ მუხლით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლებამოსილების განხორციელების ფაქტისა და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. ამ მუხლში განხილული უფლებამოსილებანი და პროცედურები ექვემდებარება მე-14-15 მუხლების პირობებს.

ნაწილი 3 – იურისდიქცია

მუხლი 22 – იურისდიქცია

1. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვადებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს იურისდიქციას ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულისათვის, როდესაც ეს დანაშაული ჩადენილია:

a. ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე; ან

b. ამ სახელმწიფოს დროშის ქვეშ მცურავ ხომალდზე; ან

c. ამ სახელმწიფოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ თვითმფრინავზე; ან

d. მისი ერთ-ერთი მოქალაქის მიერ, თუ დანაშაული დასჯადია იმ ქვეყნის სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რომლის ტერიტორიაზეც იქნა ჩადენილი დანაშაული ან თუ დანაშაული

ჩადენილია ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული იურისდიქციის ფარგლებს გარეთ.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფოს აქვს უფლება, გააკეთოს დათქმა ამ მუხლის 1.b-d ქვეპუნქტებით განსაზღვრული იურისდიქციის წესების ან მათი ნებისმიერი ნაწილის გამოუყენებლობაზე; ან გამოიყენოს ისინი მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევებში ან პირობებში.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა საჭირო ზომები, რათა გააჩნდეს იურსდიქიცია ამ კონვენციის 24-ე მუხლის 1-ლ პუნქტში ჩამოყალიბებულ დანაშაულებზე იმ შემთხვევებში, როცა სავარაუდო დამნაშავე იმყოფება მის ტერიტორიაზე და ექსტრადიციის მოთხოვნის შემდეგ სახელმწიფოუარს აცხადებს სავარაუდო დამნაშავის ექსტრადიციაზე სხვა ქვეყნისათვის მხოლოდ მისი ეროვნების საფუძველზე.

4. ეს კონვენცია არ გამორიცხავს მონაწილე სახელმწიფოს მიერ მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის გამოყენებას.

5. როდესაც ერთზე მეტი მონაწილე სახელმწიფო აცხადებს, რომ გააჩნია იურისდიქცია ამ კონვენციის შესაბამისად განსაზღვრულ სავარაუდო დანაშაულზე, ეს სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, შეძლებისდაგვარად ჩაატარონ კონსულტაციების, რათა განსაზღვრონ დევნისათვის ყველაზე მეტად შესაფერისი იურისდიქცია.

თავი III – საერთაშორისო თანამშრომლობა

ნაწილი I – ზოგადი პრინციპები

კარი 1 – საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

მუხლი 23 – საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

ამ თავის დებულებათა შესაბამისად, აგრეთვე სისხლის სამართლის საკითხებზე საერთაშორისო თანამშრომლობის, უნიფორმული ან ორმხრივი კანონმდებლობისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე შეთანხმებულ საერთაშორისო დოკუმენტებზე დაყრდნობით, კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისა და დევნის, ან დანაშაულის მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით შეგროვების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რაც შეიძლება ფართოდ ითანამშრომლონ ერთმანეთთან.

კარი 2 – ექსტრადიციასთან დაკავშირებული პრინციპები

მუხლი 24 - ექსტრადიცია

1. a. ეს მუხლი ეხება ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებისათვის ექსტრადიციას მონაწილე სახელმწიფოებს შორის, იმ პირობით, რომ ეს დანაშაულები დასჯადია ორივე სახელმწიფოს კანონმდებლობით და ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას მინიმუმ 1 წლით, ან უფრო მკაცრ სასჯელს.

b. თუ ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოებს შორის არსებული უნიფორმული ან ორმხრივი კანონმდებლობის, ან ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულების, მათ შორის ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის (ETS № 24) საფუძველზე არსებული შეთანხმებით შესაძლებელია განსხვავებული მინიმალური სასჯელის შეფარდება, გამოიყენება ასეთი შეთანხმებით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი.

2. ამ მუხლის 1-ლ პუნქტში აღწერილი დანაშაულები ექსტრადაციის შესახებ მონაწილე სახელმწიფოებს შორის არსებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს, როგორც დანაშაულები, რომლებიც ექვემდებარება ექსტრადიციას. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, ექსტრადიციის შესახებ მათ შორის დადებულ ნებისმიერ ხელშეკრულებაში ასახონ ასეთი დანაშაულები, როგორც ექსტრადიციას დაქვემდებარებულები.

3. თუ მონაწილე სახელმწიფო, რომელიც მიიღებს მოთხოვნას ექსტრადიციის შესახებ სხვა სახელმწიფოსაგან, რომელთანაც მას არ აკავშირებს ხელშეკრულება ექსტრადიციის შესახებ, ექსტრადიციის პირობად ასახელებს შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის აუცილებლობას, ამ სახელმწიფოს შეუძლია განიხილოს ეს კონვენცია, როგორც ამ მუხლის 1-ლ პუნქტში მოხსენიებულ ნებისმიერ დანაშაულისათვის ექსტრადიციის სამართლებრივი საფუძველი.

4. ის მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც ექსტრადიციის პირობად არ ასახელებენ ექსტრადიციის შესახებ ხელშეკრულების არსებობას, ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულებს განიხილავენ დანაშაულებად, რომლებიც ექვემდებარება ექსტრადიციას.

5. ექსტრადიცია დამოკიდებული უნდა იყოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს სამართლით ან ექსტრადიციის შესახებ შესაფერისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებზე, მათ შორის იმ საფუძვლებზეც, რომლის გამოც მოთხოვნის მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება უარი განაცხადოს ექსტრადიციაზე.

6. თუ სახელმწიფო უარს აცხადებს ამ მუხლის 1-ლ პუნქტში გათვალისწინებული დანაშაულებისათვის ექსტრადიციაზე მხოლოდ ძიებაში

არსებული პირის ეროვნების საფუძველზე, ან იმის გამო, რომ სახელმწიფოს, რომელსაც წაყენებული აქვს ექსტრადიციის მოთხოვნა, მიაჩნია, რომ მისი იურისდიქცია ვრცელდება ამ დანაშაულზე, ასეთ შემთხვევაში მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო ვალდებულია, მომთხოვნი სახელმწიფოს მოთხოვნის საფუძველზე, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების მიზნით ეს საქმე მისი ხელისუფლების კომპეტენტურ ორგანოებს გადასცეს და საბოლოო შედეგი სათანადოდ აცნობოს მომთხოვნ სახელმწიფოს. ეს შესაბამისი ორგანოები მიიღებენ თავიანთ გადაწყვეტილებას და აწარმოებენ თავიანთ გამოძიებასა და დევნას იგივე ხარისხით, რა ხარისხითაც აწარმოებდნენ ამას მსგავსი სახის ნებისმიერი სხვა დანაშაულის შემთხვევაში ამ წევრი სახელმწიფოს კანონმდებლობით.

7. a. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას აცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს ყველა იმ ორგანოს სახელი და იურიდიული მისამართი, რომლებიც, ხელშეკრულების არარსებობის შემთხვევაში, პასუხისმგებელნი იქნებიან ექსტრადიციის ან დაკავების შესახებ მოთხოვნის წაყენებასა ან მიღებაზე,.

b. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს და მუდმივად განაახლოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ მითითებულ სახელისუფლებო ორგანოთა უწყისი. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მუდმივ საფუძველზე უზრუნველყოს უწყისში არსებული დეტალების სისწორე.

კარი 3 – ორმხრივ დახმარებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

მუხლი 25 – ორმხრივ დახმარებასთან დაკავშირებული ზოგადი პრინციპები

1. კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიებისა და დევნის, ან დანაშაულის მტკიცებულებათა ელექტრონული ფორმით შეგროვების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, რაც შეიძლება ფართოდ გაუწიონ ერთმანეთს ურთიერთდახმარება.

2. ყველა მონაწილე სახელმწიფო ასევე ვალდებულია, მიიღოს ისეთი საკანონმდებლო და სხვა საჭირო ზომები, რომლებიც უზრუნველყოფს 27-35-ე მუხლებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა განხორციელებას.

3. ყველა მონაწილე სახელმწიფო უფლებამოსილია, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, მოითხოვოს ორმხრივი დახმარება ან განახორციელოს ამასთან დაკავშირებული რიგი სწრაფი კომუნიკაციებისა, მათ შორის ფაქსის ან ელ-ფოსტის საშუალებით იმდენად, რამდენადაც ამგვარი საშუალებები უზრუნველყოფს უსაფრთხოებისა და ავთენტურობის შესაბამის დონეს (მათ შორის, საჭიროების შემთხვევაში, შიფრის გამოყენებით). ასეთ კომუნიკაციებს შეიძლება მოჰყვეს ფორმალური დადასტურების მოთხოვნა მოთხოვნის მიმღები მონაწილე სახელმწიფოს

მხრიდან. მონაწილე სახელმწიფო, რომელსაც მიმართავენ თხოვნით, ვალდებულია, მიიღოს ეს მოთხოვნა და უპასუხოს მას კომუნიკაციის ნებისმიერი ანალოგიურად დაჩქარებული საშუალებით.

4. ამ თავის მუხლებით გათვალისწინებული განსაკუთრებული გამონაკლისების გარდა, ორმხრივი დახმარება დამოკიდებული უნდა იყოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს სამართალით ან თანამშრომლობის ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პირობებზე, მათ შორის იმ საფუძვლებზეც, რომლის გამოც მოთხოვნის მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება უარი განაცხადოს თანამშრომლობაზე. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, უარი განაცხადოს თანამშრომლობაზე მე-2-11 მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მოთხოვნა ითვალისწინებს დანაშაულს, რომელსაც მოთხოვნის მიმღები სახელმწიფო თვლის ფინანსურ დანაშაულად.

5. ამ თავის დებულებათა შესაბამისად, თუ მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ორმხრივი დახმარების პირობად მოითხოვს ორმაგი დამნაშავეობის არსებობას, უნდა ჩაითვალოს, რომ ორმაგი დამნაშავეობა სახეზეა, თუ ის ქმედება, რომლისთვისაც სახელმწიფო ითხოვს ურთიერთდახმარებას, მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს კანონმდებლობით აგრეთვე დანაშაულად ითვლება. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, ეს დანაშაული ამ სახელმწიფოთა კანონმდებლობებით ერთსა და იმავე კატეგორიაში ხვდება თუ ერთსა და იმავე ტერმინით განიმარტება, თუ მოთხოვნაში მოხსენებული დანაშაულის შემადგენელი ქმედება იწვევს სისხლისსამართლებრვი პასუხისმგებლობას მისი კანონმდებლობით.

მუხლი 26 – სპონტანური ინფორმაცია

1. ეროვნული კანონმდებლობით დადგენილ ფარგლებში, წევრ სახელმწიფოს შეუძლია, სხვა სახელმწიფოს, მისი წინასწარი მოთხოვნის გარეშე, გადაუგზავნოს საკუთარი გამოძიების ფარგლებში მოპოვებული ინფორმაცია, თუ იგი ჩათვლის, რომ ამგვარი ინფორმაციის გაზიარებით შეიძლება დაეხმაროს ინფორმაციის მიმღებ სახელმწიფოს იმ გამოძიებათა ან დევნათა დაწყებაში ან განხორციელებაში, რომლებიც ეხება ამ კონვენციის თანახმად განსაზღვრული სისხლის სამართლის დანაშაულებს, ან რომ ინფორმაციის გაზიარება შეიძლება გახდეს ამ წევრი სახელმწიფოს მიერ ორმხირივ დახმარების თაობაზე მოთხოვნის წარმოდგენის საფუძველი, როგორც ეს განსაზღვრულია ამ თავით.

2. ამგვარი ინფორმაციის მიწოდებამდე, მიმწოდებელმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება ითხოვოს, რომ ეს ინფორმაცია იყოს გასაიდუმლოებული ან გამოყენებული მხოლოდ გარკვეული პირობებით. თუ ინფორმაციის მიმღებ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება, იგი ვალდებულია, აცნობოს ამის თაობაზე მიმწოდებელ სახელმწიფოს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი გადაწყვეტს, მიაწოდოს ეს ინფორმაცია ყველაფრისდა მიუხედავად თუ არა. თუ ინფორმაციის მიმღები წევრი

სახელმწიფო მიიღებს ინფორმაციას მიმწოდებელი სახელმწიფოს პირობების სანაცვლოდ, იგი ვალდებული იქნება შეასრულოს ისინი.

კარი 4 - გამოყენებად საერთაშორისო ხელშეკრულებათა არარსებობის შემთხვევაში ორმხრივი დახმარების მოთხოვნებთან დაკავშირებული პროცედურები

მუხლი 27 – გამოყენებად საერთაშორისო ხელშეკრულებათა არარსებობის შემთხვევაში ორმხრივი დახმარების მოთხოვნებთან დაკავშირებული პროცედურები

1. თუ არ არსებობს უნიფორმულ ან ორმხრივ კანონმდებლობაზე დაფუძნებული, ძალაში შესული თანამშრომლობის ხელშეკრულება ან შეთანხმება მომთხოვნ და მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოებს შორის, უნდა იქნეს გამოყენებული ამ მუხლის მე-2-9 პუნქტების დებულებები. ამ მუხლის დებულებანი არ გამოიყენება, თუ ასეთი ხელშეკრულება, შეთანხმება ან კანონმდებლობა არსებობს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მონაწილე სახელმწიფოები თანახმა არიან მათ ნაცვლად გამოიყენონ ამ მუხლის ნებისმიერი ან ყველა დანარჩენი ნაწილი.

2 a. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, დანიშნოს ხელისუფლების ცენტრალური ორგანო ან ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელნი იქნებიან ორმხრივი დახმარების თაობაზე მოთხოვნათა გაგზავნასა და პასუხზე, ამგვარ მოთხოვნათა განხორციელებაზე ან მათ გადაცემაზე იმ სახელმწიფო ორგანოებისათვის, რომლებიც პასუხმგებელნი არიან მათ განხორციელებაზე;

b. მონაწილე სახელმწიფოთა ხელისუფლების ცენტრალური ორგანოები ვალდებულნი არიან, უშუალო კავშირი იქონიონ ერთმანეთთან;

c. წევრი სახელმწიფო ვალდებულია, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობოს ყველა იმ ორგანოს სახელი და იურიდიული მისამართი, რომლებიც დანიშნულია ამ ნაწილის სისრულეში მოყვანის მიზნით;

d. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, ჩამოაყალიბოს და მუდმივად განაახლოს მონაწილე სახელმწიფოების მიერ მითითებულ ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოთა უწყისი. ყველა მონაწილე სახელმწიფო ვალდებულია, მუდმივ საფუძველზე უზრუნველყოს ამ უწყისში არსებული დეტალების სისწორე.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნები ორმხრივ დახმარებაზე შესრულებულ უნდა იქნეს მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პროცედურების თანახმად. გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როცა ეს მოთხოვნა შეუთავსებელია მოთხოვნის მიმღები სახელმწიფოს სამართალთან.

4. გარდა 25-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული მიზეზებისა, მოთხოვნის მიმღებმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება უარი განაცხადოს დახმარებაზე თუ:

a. მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მომთხოვნი წევრი სახელმწიფო მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად ან თუ დანაშაული დაკავშირებულია პოლიტიკურ დანაშაულთან, ან

b. მას მიაჩნია, რომ მოთხოვნის შესრულება სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესებს.

5. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, გადადოს მოთხოვნის შესრულება, თუკი მას შეუძლია ზიანი მიაყენოს მისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ განხორციელებულ სისხლის სამართლის გამოძიებას ან დევნას.

6. დახმარებაზე უარის თქმის ან გადადებამდე, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მომთხოვნ წევრ სახელმწიფოსთან მოლაპარაკების შემდეგ, განსაზღვროს, შესაძლებელია თუ არა მოთხოვნის თუნდაც ნაწილობრივი დაკმაყოფილება ან შეიძლება მოთხოვნის სანაცვლოდ წაყენებულ იქნეს პირობები, რომლებსაც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო აუცილებლად მიიჩნევს.

7. მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს მის მიერ დახმარების თაობაზე განხორციელებული მოთხოვნის შედეგები. მოთხოვნაზე უარის თქმის ან მისი გადადების შემთხვევაში, სახელმწიფო ვალდებულია, ახსნას ამის მიზეზი. მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო აგრეთვე ვალდებულია, აცნობოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს იმ ნებისმიერი მიზეზის თაობაზე, რომლის გამოც შეუძლებელია მოთხოვნის შესრულება ან რომელიც, სავარაუდოდ, მნიშვნელოვნად დააყოვნებს მის შესრულებას.

8. მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს შეუძლია, მოითხოვოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოსაგან, საიდუმლოდ შეინახოს ამ თავით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნის ფაქტი ისევე, როგორც მისი შინაარსი, თუ ეს არ სხდება ამ მოთხოვნის განხორციელებისათვის აუცილებელ ფარგლებს. თუ მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია კონფიდენციალურობის შესახებ მოთხოვნის შესრულება, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს ეს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში გადაწყვეტს, წარადგინოს თუ არა მოთხოვნა ამისდა მიუხედავად.

9. a. გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ორმხრივი დახმარების თაობაზე მოთხოვნები ან მასთან დაკავშირებული კომუნიკაციები შეიძლება განხორციელებულ იქნეს მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს სასამართლო ორგანოების მიერ უშუალოდ მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს

შესაბამისი ორგანოებისადმი. ნებისმიერ ასეთ შემთხვევაში, მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოს მიერ მოთხოვნის ასლი უნდა გაეგზავნოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს ცენტრალურ სახელისუფლებო ორგანოს.

b. ამ პუნქტით გათვალისწინებული ნებისმიერი მოთხოვნა ან შეტყობინება შეიძლება განხორციელებულ იქნეს კრიმინალური პოლიციის საერთაშორისო ორგანიზაციის (ინტერპოლის) საშუალებით.

c. თუ მოთხოვნა გაკეთებულია ამ მუხლის "a" ქვეპუნქტის თანახმად და თუ სახელისუფლებო ორგანოს არ შეუძლია თავი გაართვას მას, იგი ვალდებულია, გადაუგზავნოს ეს მოთხოვნა შესაბამის ეროვნულ ორგანოს და პირდაპირ შეატყობინოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს ამის თაობაზე.

d. ამ პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები ან კომუნიკაციები, რომლებიც არ მოითხოვს იძულებით ღონისძიებათა გამოყენებას, მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს შესაბამისი სახელისუფლებო ორგანოების მიერ შეიძლება გადაეცეს უშუალოდ მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს.

e. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს აცნობოს, რომ ეფექტურობის მიზნით, ამ პუნქტის თანახმად წარმოდგენილი მოთხოვნები მიმართული უნდა იყოს მისი ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოსადმი.

მუხლი 28 – კონფიდენციალურობა და სარგებლობის შეზღუდვა

1. თუ მომთხოვნ და მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოებს შორის უნიფორმული ან ორმხრივი კანონმდებლობის საფუძველზე არსებული ხელშეკრულება ან შეთანხმება ურთიერთდახმარებაზე არაა ძალაში შესული, გამოიყენება ამ მუხლის დებულებანი. ამ მუხლის დებულებანი არ გამოიყენება, როცა ასეთი ხელშეკრულება, შეთანხმება ან კანონმდებლობა არსებობს, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ მონაწილე სახელმწიფოები თანახმა არიან მათ ნაცვლად გამოიყენონ ამ მუხლის ნებისმიერი ან ყველა დანარჩენი ნაწილი.

2. მოთხოვნა-წაყენებულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია/უფლება აქვს მიწოდებული ინფორმაციის ან მასალის პირობად მოითხოვოს რომ:

a. საიდუმლოდ შეინახოს ეს ინფორმაცია და მასალა, როცა ორმხრივი სამართლებრივი დახმარების თაობაზე მოთხოვნის შესრულება სხვაგვარად შეუძლებელია, ან

b. ეს ინფორმაცია და მასალა არ იქნება გამოყენებული გამოძიებისა და დევნის იმ მიზნებისათვის, რომლებიც მოთხოვნის ფარგლებს სცდება.

3. თუ მომთხოვნი წევრი სახელმწიფო ვერ ასრულებს მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პირობას, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე წევრ სახელმწიფოს, რომელიც შემდგომში გადაწყვეტს, მიაწოდოს თუ არა ინფორმაცია ამისდა მიუხედავად. თუ მომთხოვნი წევრი სახელმწიფო დათანხმდება ამ პირობას, იგი ვალდებული იქნება შეასრულოს ის.

4. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს, რომელიც გადასცემს ინფორმაციას ან მასალას მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პირობით, უფლება აქვს მოითხოვოს სხვა წევრი სახელმწიფოსაგან, ამ პირობასთან დაკავშირებით, განმარტოს ამგვარი ინფორმაციის ან მასალის გამოყენების მიზანი.

ნაწილი 2 – განსაკუთრებული დებულებანი

კარი 1 – დროებით ზომებთან დაკავშირებული ორმხრივი დახმარება

მუხლი 29 – შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა დაჩქარებული დაცვა

1. წევრმა სახელმწიფომ შეიძლება მოსთხოვოს სხვა წევრ სახელმწიფოს, გასცეს ბრძანება ან სხვაგვარად უზრუნველყოს იმ კომპიუტერული სისტემის საშუალებით შენახულ მონაცემთა დაჩქარებული დაცვა, რომელიც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარეობს და რომელთან დაკავშირებითაც მომთხოვნი წევრი სახელმწიფო აპირებს, ორმხრივი დახმარების მოთხოვნის საფუძველზე მოიძიოს ან ჰქონდეს მსგავსი სახის მისავალი; ამოიღოს ან სხვაგვარად მოიპოვოს; ან გამოითხოვოს კომპიუტერული მონაცემები.

2. 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა დაცვის შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგს:

a. სახელისუფლებო ორგანოს დასახელებას, რომელიც მოითხოვს მონაცემთა შენახვას;

b. დანაშაულს, რომელიც წარმოადგენს სისხლის სამართლის გამოძიების ან დევნის საფუძველს, და მასთან დაკავშირებული ფაქტების ზოგად შინაარსს;

c. შენახულ კომპიუტერულ მონაცემებს, რომლებიც უნდა იქნეს დაცული, და მის კავშირს დანაშაულთან;

d. ნებისმიერ ხელმისაწვდომ ინფორმაციას, რომელიც დაადგენს შენახული კომპიუტერული მონაცემების მფლობელს ან კომპიუტერული სისტემის ადგილმდებარეობას.

e. შენახვის აუცილებლობას; და

f. წევრი სახელმწიფოს განზრახვას, მოითხოვოს დახმარება, რათა მოიძიოს ან ჰქონდეს მსგავსი სახის მისავალი; ამოიღოს ან სხვაგვარად მოიპოვოს; ან გამოითხოვოს კომპიუტერული მონაცემები.

3. სხვა წევრი სახელმწიფოსაგან მოთხოვნის მიღებისთანავე, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მიიღოს ყველა სათანადო ზომა, რათა დაჩქარებულად დაიცვას აღნიშნული მონაცემები მისი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ამ მოთხოვნის საპასუხოდ და ამგვარი დაცვის უზრუნველყოფის პირობად არ უნდა იქნეს მოთხოვნილი ორმაგი დამნაშავეობა.

4. თუ წევრი სახელმწიფო ასახელებს ორმაგ დამნაშავეობას შენახულ მონაცემთა მოძიების ან მსგავი სახის მისავალის, ამოღების ან სხვაგვარად მოპოვების, ან მისი გამოთხოვის თანამშრომლობის მოთხოვნის პირობად, და თუ მას მიაჩნია, რომ ინფორმაციის გადაცემის დროს ორმაგი დამნაშავეობის პირობა ვერ იქნება დაკმაყოფილებული, ამ სახელმწიფოს აქვს უფლება, იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც განსხვავდება ამ კონვენციის მე-2-11 მუხლებით განსაზღვრული დანაშაულებისაგან, უარი თქვას დაცვის მოთხოვნაზე.

5. გარდა ამისა, მოთხოვნა დაცვის თაობაზე შეიძლება უარყოფილ იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

a. მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად, ან

b. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მოთხოვნის შესრულება სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესებს.

6. თუ მოთხოვნის მიმღებ წევრს სახელმწიფოს სჯერა, რომ შენახვის პროცედურები არ უზრუნველყოფს მონაცემთა შემდგომ ხელმისაწვდომობას ან საფრთხეს შეუქმნის მომთხოვნი წევრი სახელმწიფოს გამოძიების კონფიდენციალურობას ან სხვაგვარად ზიანს მიაყენებს მას, იგი ვალდებულია, დაუყოვნებლივ აცნობოს მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს ამის თაობაზე, რომელიც შემდგომ გადაწყვეტს, უნდა განხორციელდეს თუ არა მოთხოვნა ამისდა მიუხედავად.

7. 1-ლი პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნის პასუხად განხორციელებული მონაცემთა ნებისმიერი დაცვა უნდა გაგრძელდეს არანაკლებ სამოცი დღის განმავლობაში, რათა მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს მიეცეს მონაცემთა მოძიების ან მსგავსი სახის მისავალის, ამოღების ან სხვაგვარად მოპოვების, ან მისი გამოთხოვის თაობაზე მოთხოვნის გაკეთების საშუალება. ამგვარი მოთხოვნის მიღების შემდეგ მონაცემთა შენახვა უნდა გაგრძელდეს ამ მოთხოვნასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების დრომდე.

მუხლი 30 – ინტერნეტ-ტრაფიკის დაცულ მონაცემთა დაჩქარებული გადაცემა

1. თუ, 29-ე მუხლით გაკეთებული მოთხოვნის განხორციელების დროს, რომელიც ეხება კონკრეტულ კომუნიკაციასთან დაკავშირებული ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა დაცვას, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო აღმოაჩენს, რომ მომსახურების მიმწოდებელი სხვა სახელმწიფოში მონაწილეობას ღებულობდა ამ კომუნიკაციის გადაცემაში, მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, მომთხოვნ წევრ სახელმწიფოს სასწრაფოდ გადასცეს ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა საკმარისი რაოდენობა, რათა საშუალება მისცეს მას, ამოიცნოს მომსახურების ეს მიმწოდებელი და ის გზა, რომლის საშუალებითაც გადაცემულ იქნა კომუნიკაცია.

2. წევრმა სახელმწიფომ 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემების გადაცემაზე შეიძლება უარი თქვას მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ:

a. მოთხოვნა ეხება დანაშაულს, რომელსაც მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო მიიჩნევს პოლიტიკურ დანაშაულად ან პოლიტიკურ დანაშაულთან დაკავშირებულ დანაშაულად; ან

b. მოთხოვნის მიმღებ წევრ სახელმწიფოს მიაჩნია, რომ მოთხოვნის შესრულება სავარაუდოდ ზიანს მიაყენებს მის სუვერენიტეტს, უსაფრთხოებას, საჯარო წესრიგს ან სხვა არსებით ინტერესებს.

კარი 2 – საგამოძიებო უფლებამოსილებასთან დაკავშირებული ორმხრივი დახმარება

მუხლი 31 – შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული ორმხრივი დახმარება

1. წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, მოსთხოვოს სხვა წევრ სახელმწიფოს, მოიძიოს ან ჰქონდეს მსგავსი სახის მისავალი; ამოიღოს ან სხვაგვარად მოიპოვოს; ან გამოითხოვოს მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფოს ტერიტორიაზე მდებარე კომპიუტერული სისტემის საშუალებით შენახული კომპიუტერული მონაცემები, მათ შორის ის მონაცემებიც, რომლებიც ინახებოდა 29-ე მუხლის შესაბამისად.

2. მოთხოვნის მიმღები წევრი სახელმწიფო ვალდებულია, ამ მოთხოვნას უპასუხოს 23-ე მუხლში მოხსენიებული საერთაშორისო დოკუმენტების, შეთანხმებისა და კანონმდებლობის გამოყენებით, და ამ თავის სხვა შესაბამის ღებულებათა შესაბამისად.

3. მოთხოვნაზე დაჩქარებული პასუხი უნდა იქნეს გაცემული იმ შემთხვევაში, თუ:

a. არსებობს ეჭვის საფუძველი, რომ შესაბამისი მონაცემები შეიძლება დაიკარგოს ან შეიცვალოს; ან

b. დაჩქარებულ თანამშრომლობას ითვალისწინებს მე-2 პუნქტში მოხსენიებული დოკუმენტები, შეთანხმებები და კანონმდებლობები.

მუხლი 32 – შენახულ კომპიუტერულ მონაცემთა სახელმწიფოთა-შორისი ხელმისაწვდომობა ნებართვის არსებობის ან საჯაროდ ხელმისაწვდომობის შემთხვევაში

წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, სხვა წევრი სახელმწიფოს ნებართვის გარეშე:

a. ჰქონდეს მისავალი საჯაროდ ხელმისაწვდომ (ღია კოდის მქონე) შენახულ კომპიუტერულ მონაცემებზე იმისდა მიუხედავად, თუ სად მდებარეობს ეს მონაცემები გეოგრაფიულად; ან

b. მის ტერიტორიაზე არსებული კომპიუტერული სისტემის საშუალებით ხელი ჰქონდეს მისავალი ან მიიღოს შენახული კომპიუტერული მონაცემები, თუ ეს წევრი სახელმწიფო მიიღებს კანონიერ და ნებაყოფლობითი თანხმობას იმ პირისაგან, რომელსაც აქვს კანონიერი უფლებამოსილება, გადასცეს კომპიუტერული მონაცემები ამ წევრ სახელმწიფოს ამ კომპიუტერული სისტემის მეშვეობით.

მუხლი 33 – ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვებასთან დაკავშირებული ურთიერთდახმარება

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაეხმარონ ერთმანეთს ინტერნეტ-ტრაფიკის იმ მონაცემთა მიმდინარე შეგროვებაში, რომელიც დაკავშირებულია მათ ტეროტორიაზე კომპიუტერული სისტემის საშუალებით განხორციელებულ კონკრეტულ კომუნიკაციებთან. მე-2 პუნქტის დებულებათა გათვალისწინებით, ამ თანამშრომლობის რეგულირება უნდა ხდებოდეს ეროვნული კანონმდებლობის პირობებისა და პროცედურების თანახმად.

2. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს ამგვარი დახმარება იმ სისხლის სამართლის დანაშაულებთან დაკავშირებით როგორც მინიმუმ იმ შემთხვევებში, რომლებისთვისაც ინტერნეტ-ტრაფიკის მონაცემთა მიმდინარე შეგროვება ხორციელდება მსგავს სისხლის სამართლის საქმეებში.

მუხლი 34 – შინაარსობრივ მონაცემთა ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებული ორმხრივი დახმარება

წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაეხმარონ ერთმანეთს კომპიუტერული სისტემის საშუალებით გადაცემულ კონკრეტულ

კომუნიკაციების შინაარსობრივი მონაცემების მიმდინარე შეგროვებასა ან ჩაწერასთან დაკავშირებით, იმდენად, რამდენადაც ეს ნებადართულია მათი შესაბამისი ხელშეკრულებებითა და ეროვნული კანონმდებლობებით.

კარი 3 – სადღეღამისო/მუდმივი ქსელი

მუხლი 35 – სადღეღამისო/მუდმივი ქსელი

1. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, დანიშნოს საკონტაქტო პირი, რომელთან დაკავშირებაც შესაძლებელი იქნება 24 საათის განმავლობაში კვირაში 7 დღე, რათა უზრუნველყოს კომპიუტერულ სისტემებსა და მონაცემებთან დაკავშირებულ დანაშაულთა გამოძიება ან დევნა, ან დანაშაულთა მტკიცებულების ელექტრონული ფორმით შეგროვებისათვის საჭირო გადაუდებელი დახმარება. ამგვარი დახმარება უნდა გულისხმობდეს ხელშეწყობას ან, მისი ეროვნული კანონმდებლობით ან პრაქტიკით დასაშვებობის შემთხვევაში, უშუალოდ განხორციელებას შემდეგი ზომებისა:

a. ტექნიკური რჩევით უზრუნველყოფა;

b. 29-30-ე მუხლებით გათვალისწინებულ მონაცემთა დაცვა;

c. მტკიცებულებათა შეგროვება, სამართლებრივი ინფორმაციის დაცვა, და ეჭვმიტანილთა ადგილმდებარეობის დადგენა.

2. a. წევრი სახელმწიფოს საკონტაქტო პირი ვალდებულია, ჰქონდეს სასწრაფო კავშირის დამყარების საშუალება სხვა წევრი ქვეყნების საკონტაქტო პირებთან.

b. თუ წევრი სახელმწიფოს მიერ დანიშნული საკონტაქტო პირი არ არის ამ წევრი სახელმწიფოს საერთაშორისო ურთიერთდახმარებაზე ან ექსტრადიციაზე პასუხისმგებელ ცენტრალურ ან ადგილობრივ სახელისუფლებო ორგანოთა წარმომადგენელი, საკონტაქტო პირი ვალდებულია, უზრუნველყოს მისი მხრიდან შესაბამის ორგანოებთან სწრაფი დაკავშირების საშუალება.

3. ყველა წევრი სახელმწიფო ვალდებულია, უზრუნველყოს პერსონალის მომზადებულობა და კარგად აღჭურვილობა, რათა ხელი შეუწყოს ქსელის მუშაობას.

თავი IV – დასკვნითი დებულებანი

მუხლი 36 – ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ღიაა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების და იმ არა-მონაწილე სახელმწიფოების მიერ ხელმოსაწერად, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში.

2. ეს კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, თანხმობასა და დადასტურებას. რატიფიკაციის, მიღების ან დადასტურების დოკუმენტები ინახება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

3. ეს კონვენცია ძალაში შევა ხუთი სახელმწიფოს, მათ შორის ევროპის საბჭოს მინიმუმ სამი წევრი სახელმწიფოს მიერ, 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებათა შესაბამისად, ამ კონვენციისადმი თავიანთი ვალდებულების აღიარების დღიდან სამ-თვიანი ვადის გასვლიდან შემდგომი თვის პირველ დღეს.

4. ნებისმიერი ხელმომწერი სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში გამოხატავს თავის ნებას, აღიაროს თავისი ვალდებულება ამ კონვენციის შესაბამისად, ეს კონვენცია ძალაში შევა მომდევნო თვის პირველ დღეს, ამ სახელმწიფოს მიერ, 1-ლი და მე-2 პუნქტების დებულებათა შესაბამისად, ამ კონვენციისადმი თავისი ვალდებულების აღიარებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 37 –კონვენციაზე შეერთება

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს, კონვენციაზე ხელისმომწერ სახელმწიფოებთან კონსულტაციისა და მათგან ერთსულოვანი თანხმობის მიღების შემდეგ, შეუძლია მოიწვიოს ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის საბჭოს წევრი და რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა მის შემუშავებაში, შეურთდეს ამ კონვენციას. ეს გადაწყვეტილება, ევროპის საბჭოს წესდების მე-20(d) მუხლის თანახმად, მიღებულ უნდა იქნეს უმრავლესობის მიერ და ხელმომწერ სახელმწიფოთა წარმომადგენლების ერთსულოვანი კენჭისყრით, რომლებიც მინისტრთა კომიტეტის წევრები არიან.

2. ზემოთ ხსენებული 1-ლი პუნქტის შესაბამისად, ამ კონვენციასთან შეერთების მსურველი ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, კონვენცია ძალაში შევა მომდევნო თვის პირველ დღეს, ამ სახელმწიფოს მიერ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეერთების დოკუმენტის დეპონირების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ.

მუხლი 38 – ტერიტორიული გამოყენება

1. ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას, განსაზღვროს ტერიტორია ან ტერიტორიები, რომლებსაც შეეხება ეს კონვენცია.

2. სახელმწიფოს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული განცხადებით გააფართოვოს ამ კონვენციის გამოყენება ამ განცხადებაში აღნიშნულ ნებისმიერ ტერიტორიაზე. ამგვარ ტერიტორიასთან დაკავშირებით კონვენცია

ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამ განცხადების მიღებიდან სამ-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტით გაკეთებული ნებისმიერი განცხადება, ამგვარ განცხადებაში მითითებული ტერიტორიიდან გამომდინარე, შეიძლება უკან იქნეს გათხოვილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმის შესაბამისი შეტყობინების გაკეთების გზით. განცხადების უკან გათხოვნა შესაძლებელი იქნება მომდევნო თვის პირველ დღეს, გენერალური მდივნის მიერ ამგვარი შეტყობინების მიღებიდან სამ-თვიანი ვადის გასვლის შემდეგ.

მუხლი 39 – კონვენციის შედეგები

1. ამ კონვენციის მიზანია, წევრ სახელმწიფოებს შორის დადებული ისეთი მრავალმხრივი ან ორმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებათა შევსება, როგორიცაა:

- ევროპული კონვენცია ექსტრადიციის თაობაზე, ხელმოსაწერად ღიაა პარიზში, 1957 წლის 13 დეკემბრიდან (ETS №. 24);

- ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საკითხებში ომხრივი დახმარების თაობაზე, ხელმოსაწერად ღიაა სტრასბურგში, 1959 წლის 29 აპრილიდან (ETS №. 30);

- ევროპული კონვენციის დამატებითი ოქმი სისხლის სამართლის საკითხებში ურთიერთდახმარების თაობაზე, ხელმოსაწერად ღიაა სტრასბურგში, 1978 წლის 17 მარტიდან (ETS №. 99).

2. თუ ორ ან მეტ წევრ სახელმწიფოს უკვე დადებული აქვს შეთანხმება ან ხელშეკრულება ამ კონვენციაში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ან დაამყარეს სხვა სახის კავშირი ამგვარ საკითხებზე, ან გეგმავენ ამის გაკეთებას, ისინი აგრეთვე ვალდებულნი არიან, გამოიყენონ ეს შეთანხმება ან ხელშეკრულება, ან შესაბამისად მოაწესრიგონ ეს ურთიერთობები. ამასთან, თუ წევრი სახელმწიფოები დაამყარებენ თავიანთ ურთიერთობას ამ კონვენციით განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ისეთი გზით, რომელიც არ რეგულირდება ამ კონვენციით, ისინი ვალდებულნი არიან, განახორციელონ ეს ისეთი გზით, რომელიც არ ეწინააღმდეგება კონვენციის მიზნებსა და პრინციპებს.

3. ამ კონვენციის არც ერთი დებულება გავლენას არ ახდენს წევრი სახელმწიფოს სხვა უფლებებზე, შეზღუდვებზე, ვალდებულებებსა და პასუხისმგებლობაზე.

მუხლი 40 –განცხადებები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მისამართით გაკეთებული წერილობითი შეტყობინებით, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის

ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას განაცხადოს, რომ იგი იყენებს დამატებითი ელემენტების მოთხოვნის საშუალებას, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის მუხლები 2, 3, 6.1(b), 7, 9.3 და 27.9(e).

მუხლი 41 – დებულება ფედერალური სახელმწიფოს შესახებ

1. ფედერალურ სახელმწიფოს უფლება აქვს, საკუთარ თავზე აიღოს ამ კონვენციის II თავით გათვალისწინებული ვალდებულებანი, თანახმად მისი ძირითადი პრინციპებისა, რომელიც არეგულირებს ურთიერთდამოკიდებულებას ცენტრალურ მთავრობასა და მის სახელმწიფოებრივ ერთეულებს, ან სხვა მსგავს ტერიტორიულ წარმონაქმნებს შორის, იმ პირობით, რომ იგი შეუძლებელს არ ხდის III თავით გათვალისწინებული თანამშრომლობის საშუალებას.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული დათქმის შემთხვევაში, ფედერალურ სახელმწიფოს არ შეუძლია ისარგებლოს ამგვარი დათქმის პირობებით იმისათვის, რომ გამორიცხოს ან არსებითად შეამციროს თავისი ვალდებულებები II თავში აღნიშნული ზომების უზრუნველსაყოფად. მთლიანობაში, ამ ზომებთან დაკავშირებით, იგი ვალდებულია, უზრუნველყოს მართლმსაჯულების განხორციელების ფართო და ეფექტური საშუალება.

3. ფედერალური მთავრობა ვალდებულია, ინფორმაცია მიაწოდოს მის შემადგენელ სახელმწიფოთა ან მსგავს ტერიტორიულ წარმონაქმნთა შესაბამის სახელისუფლებო ორგანოებს, რომელთაც ფედერაციის კონსტიტუციური სისტემით არ ევალებათ, მიიღონ სამართლებრივი ზომები ამ კონვენციის იმ დებულებებთან დაკავშირებით, რომელთა შესრულებაც მათი სამართლებრივი იურისდიქციის ფარგლებში უნდა მოხდეს ისევე, როგორც მისი შეხედულება, რომელსაც თავად ფედერალური მთავრობა ეთანხმება და რომელიც წაახალისებს მათ, გადადგან შესაბამისი ნაბიჯები ამ დებულებათა ასამოქმედებლად.

მუხლი 42 - დათქმები

ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართული წერილობითი შეტყობინებით ნებისმიერ სახელმწიფოს უფლება აქვს, რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ დოკუმენტის ხელმოწერის დროს ან დეპონირებისას განაცხადოს, რომ იგი სარგებლობს დათქმის უფლებ(ებ)ით შემდეგი მუხლების მიმართ: 4.2, 6.3, 9.4, 10.3, 11.3, 14.3, 22.2, 29.4 და 41.1. სხვა დათქმის გაკეთება დაუშვებელია.

მუხლი 43 – დათქმათა სტატუსი და უკან გათხოვა

1. წევრ სახელმწიფოს, რომელიც აკეთებს დათქმას 42-ე მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს სრულად ან ნაწილობრივ გაითხოვოს იგი უკან ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით. ეს გათხოვა ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამგვარი

შეტყობინების მიღების დღეს. თუ შეტყობინების თანახმად დათქმის გათხოვა ძალაში უნდა შევიდეს ამ შეტყობინებაში აღნიშნულ დღეს და თუ ეს თარიღი არის უფრო გვიანი, ვიდრე გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღების თარიღი, გამოთხოვა ძალაში შევა შეტყობინებაში მითითებულ (შედარებით გვიან) დღეს.

2. ის წევრი სახელმწიფო, რომელსაც გაკეთებული აქვს დათქმა 42-ე მუხლის შესაბამისად, ვალდებულია, გაითხოვოს იგი, სრულად ან ნაწილობრივ, როგორც კი შესაბამისი საშუალება მიეცემა.

3. ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს შეუძლია დროდადრო გამოჰკითხოს სახელმწიფოებს, რომლებსაც 42-ე მუხლის თანახმად გაკეთებული აქვთ ერთი ან მეტი დათქმა, აპირებენ თუ არა ამ დათქმ(ებ)ის გათხოვას.

მუხლი 44 – ცვლილებები

1. ამ კონვენციაში ცვლილებათა შეტანის შემოთავაზება შეუძლია ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს. ამის თაობაზე ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, ჩაატაროს კონსულტაციები ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებთან, იმ არამონაწილე სახელმწიფოებთან, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს შეიტანეს ამ კონვენციის შემუშავებაში ისევე, როგორც ნებისმიერ სახელმწიფოსთან, რომელიც უკვე შეუერთდა ან მიწვეულია, რათა შეუერთდეს ამ კონვენციას 37-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.

2. წევრი სახელმწიფოს მიერ შეთავაზებული ნებისმიერი ცვლილება გადაეცემა სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპულ კომიტეტს (CDPC), რომელიც ვალდებულია, თავისი შეხედულება ამ შეთავაზებულ ცვლილებასთან დაკავშირებით გააცნოს მინისტრთა კომიტეტს.

3. მინისტრთა კომიტეტი ვალდებულია, განიხილოს შეთავაზებული ცვლილება და CDPC-ის შეხედულება ამის თაობაზე, რის შემდეგაც, ამ კონვენციის არა-მონაწილე სახელმწიფოებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მიიღოს ეს ცვლილება.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, მინისტრთა კომიტეტის მიერ მიღებული ნებისმიერი ცვლილების ტექსტი დადასტურებისათვის უნდა გადაეგზავნოს წევრ სახელმწიფოებს.

5. ამ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი ცვლილება ძალაში შევა ოცდამეათე დღეს, მას შემდეგ, რაც ყველა წევრი სახელმწიფო შეატყობინებს გენერალურ მდივანს დადასტურების თაობაზე.

მუხლი 45 – დავების გადაწყვეტა

1. სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპული კომიტეტი (CDPC) ინფორმირებულ უნდა იქნეს ამ კონვენციის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით.

2. წევრ სახელმწიფოებს შორის ამ კონვენციის განმარტებასა და გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავის შემთხვევაში, ეს სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, მოაგვარონ ეს დავა მოლაპარაკების ან მათ მიერ არჩეული სხვა მშვიდობიანი გზით, მათ შორის დავასთან დაკავშირებული განცხადების შეტანა სსპეკ-ში საარბიტრაჟო ტრიბუნალში, რომლის გადაწყვეტილებაც ამ წევრი სახელმწიფოებისათვის სავალდებულო იქნება, ან გაეროს საერთაშორისო სასამართლოში, დავაში მონაწილე წევრ სახელმწიფოთა შეთანხმებისდა მიხედვით.

მუხლი 46 – წევრ სახელმწიფოთა კონსულტაცია

1. წევრი სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, პერიოდულად ჩაატარონ კონსულტაციები შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

a. ამ კონვენციის ეფექტური გამოყენება და იმპლემენტაცია, მათ შორის მასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემის, ასევე ამ კონვენციით გაკეთებული ნებისმიერი განცხადებისა და დათქმის შედეგთა განსაზღვრა;

b. კომპიუტერული დანაშაულისა და მტკიცებულების ელექტრონული ფორმით შეგროვების თაობაზე მნიშვნელოვან სამართლებრივ, პოლიტიკურ ან ტექნოლოგიურ განვითარებასთან დაკავშირებით არსებული ინფორმაციის გაცვლა;

c. კონვენციაში შესაძლო დამატებისა და ცვლილებათა განხილვა.

2. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ კონსულტაციათა შედეგები პერიოდულად უნდა ეცნობოს სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპულ კომიტეტს (CDPC-ს).

3. სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპულმა კომიტეტმა საჭიროებისამებრ ხელი უნდა შეუწყოს ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებული კონსულტაციებს და მიიღოს საჭირო ზომები, რათა დაეხმაროს წევრ სახელმწიფოებს კონვენციისადმი დამატებისა თუ შესწორების შეტანაში. ამ კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს სამი წლის შემდეგ სისხლის სამართლის პრობლემათა ევროპული კომიტეტი ვალდებულია, წევრ სახელმწიფოებთან ერთად გადასინჯოს კონვენციის ყველა დებულება და, თუ საჭიროა, გამოთქვას რეკომენდაცია შესაბამის ცვლილებებთან დაკავშირებით.

4. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით გათვალისწინებულ დებულებათა განხორციელებისათვის საჭირო ხარჯები დაფარულ უნდა იქნეს წევრი სახელმწიფოების მიერ შეთანხმებული სქემით, გარდა ევროპის საბჭოს მიერ გათვალისწინებული გამონაკლისებისა.

5. ამ მუხლით დაკისრებულ მოვალეობათა განხორციელებაში წევრ სახელმწიფოებს დახმარებას უწევს ევროპის საბჭოს სამდივნო.

მუხლი 47 - დენონსაცია

1. ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს, მოახდინოს ამ კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული შეტყობინების საშუალებით.

2. ამგვარი დენონსაცია ძალაში შევა გენერალური მდივნის მიერ ამ შეტყობინების მიღებიდან სამი თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

მუხლი 48 – შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, შეატყობინოს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, არამონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კონვენციის შემუშავებაში, აგრეთვე ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც უკვე შეუერთდა ან მოწვეულია, რათა შეუერთდეს ამ კონვენციას:

a. ნებისმიერი ხელმოწერის თაობაზე;

b. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან შეერთების შესახებ ნებისმიერი დოკუმენტის მიღების თაობაზე;

c. 36-37-ე მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღი;

d. მე-40 მუხლით გაკეთებული ნებისმიერი განცხადების ან 42-ე მუხლის თანახმად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის თაობაზე;

e. ამ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედების, შეტყობინების ან კომუნიკაციის თაობაზე.

ამის დასტურად, სათანადო უფლებამოსილების მქონე მხარეებმა ხელი მოაწერეს ამ კონვენციას.

შესრულებულია ბუდაპეშტში, 2001 წლის 23 ნოემბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია, ერთ პირად, რომელიც შეინახება ევროპის საბჭოს არქივში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ვალდებულია, გაუგზავნოს დამოწმებული ასლები ევროპის საბჭოს ყველა წევრ სახელმწიფოს, არა-მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ამ კონვენციის შემუშავებაში, და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მოწვეულია, რათა შეუერთდეს მას.